საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტრო

შპს მზეკაბანი 2რუსთავის საერო სკოლა

416306143

მის: 3700, ქ. რუსთავი, გ. ნიკოლაძის ქ. 16ა

ელ.ფოსტა: mzekabani@mail.ru

tel:(0341) 24 19 94

Ministry of Education and Science GEORGIA

LTD "Mzekabani 2" Rustavi secular shool

416306143
Address: 3700, Rustavi, G. Nikoladze St. 16a

e.mail: mzekabani@mail.ru

Tel: :(0341) 24 19 94

01.11.2024

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 01/109

შპს მზეკაბანი 2 რუსთავის საერო სკოლის ბიბლიოთეკის დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, 55-ე მუხლის, 56-ე მუხლის და 61-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. დამტკიცდეს შპს მზეკაბანი 2-ის ბიბლიოთეკის დებულება დანართი #1 შესაბამისად;
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს დირექტორის 2023 წლის 07 სექტემბრის N01/11 ბრძანება;
3. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე;
4. დაევალოს სკოლის ადმინისტრაციულ საკანცელარიო საქმეთა და IT მენეჯერს უზრუნველყოს ბრძანების გამოქვეყნება სკოლის ვებ გვერდზე;
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან 1 თვის ვადაში რუსთავის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. რუსთავი, ბოსტანქალაქის ქ. #6)

ბელა გოცირიძე
დირექტორი

დამტკიცებულია შპს მზეკაბანი 2
რუსთავის საერო სკოლის
დირექტორის 2024 წლის 01 ნოემბრის N01/109 ბრძანებით

შპს “მზეკაბანი 2”-ის რუსთავის საერო სკოლის ბიბლიოთეკის დებულება

2024

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1. შპს “მზეკაბანი2-ის”, რუსთავის საერო სკოლის ბიბლიოთეკის მუშაობის დებულება ეფუძნება „საბიბლიოთეკო საქმის შესახებ“ საქართველოს კანონს და აწესრიგებს ბიბლიოთეკისგამართულ და შეუფერხებელ მუშაობას.

1.2. ბიბლიოთეკის მუშაობის დებულება განსაზღვრავს ბიბლიოთეკარისა და ბიბლიოთეკით სარგებლობის უფლების მქონე პირის (შემდგომში მკითხველის) უფლება-მოვალეობებსა და ბიბლიოთეკით სარგებლობის წესებს, რათა მოხდეს საბიბლიოთეკო რესურსების სწორად და ეფექტურად ხელმისაწვდომობა და გამოყენება.

მუხლი 2. ბიბლიოთეკის მუშაობის ძირითადი ამოცანები. ბიბლიოთეკის

მუშაობის ძირითადი ამოცანებია:

ა) მკითხველის უზრუნველყოფა სასწავლო და მეთოდური სახელმძღვანელოებით, მხატვრული ლიტერატურით (ბეჭდური და ელექტრონული);

ბ) სკოლის მისიის რეალიზაციის პროცესში მონაწილეობა და მისიით დასახული მიზნების მიღწევის ხელშეწყობა;

გ) ხელსაყრელი პირობების შექმნა პიროვნების შემოქმედებითი განვითარებისათვის; მუხლი

3. ბიბლიოთეკის მუშაობის პრინციპები

ბიბლიოთეკის მუშაობის ძირითადი პრინციპებია: ა)

მკითხველთა თანასწორუფლებიანობა;

ბ) ინფორმაციის ხელმისაწვდომობა;

გ) პოლიტიკური და რელიგიური ნეიტრალიტეტი. მუხლი 4.

ბიბლიოთეკით სარგებლობის უფლება ბიბლიოთეკით

სარგებლობის უფლება აქვთ:

ა) სკოლის მოსწავლეს;
ბ) სკოლის თანამშრომელს;

გ) სხვა საგანმანათლებლო დაწესებულების მოსწავლეებს/თანამშრომლებს/მოწვეულ სტუმრებს, რომლებიც ხელშეკრულების/მემორანდუმის/სხვა სასწავლო პროგრამის ფარგლებში იმყოფებიან შპს “მზეკაბანი2 რუსთავის საერო სკოლაში“.

მუხლი 5. ბიბლიოთეკარის უფლებები და ვალდებულებები

5.1. ბიბლიოთეკარი უფლებამოსილია:

5.1.1. წარმართოს ბიბლიოთეკის საქმიანობა კანონმდებლობისა და წინამდებარე დებულების შესაბამისად;

5.1.2. მოაწყოს შეხვედრები ავტორებთან, გამომცემლებთან, გაუწიოს ორგანიზება სასკოლო ღონისძიებებს, კონფერენციებს, ვიქტორინებს, პრეზენტაციებს და ა.შ.

5.1.3. დაეხმაროს მკითხველს ინტერესებისა და საჭიროებების შესაბამისად წიგნების

შერჩევაში;

5.1.4. გაუწიოს მკითხველს კონსულტაცია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესებისშესახებ;

5.1.5. მოამზადოს წინადადებები საბიბლიოთეკო ფონდის განახლებაზე თანამედროვე ქართულენოვანი და უცხოენოვანი ლიტერატურით.

5.2. ბიბლიოთეკარი ვალდებულია:

5.2.1. უზრუნველყოს მკითხველთა მომსახურება საბიბლიოთეკო ფონდით;

5.2.2. უზრუნველყოს წიგნების მიღება, მათი დამუშავება და აღრიცხვა ელექტრონულ ან/და ბეჭდურ კატალოგში;

5.2.3. ზედამხედველობა გაუწიოს ბიბლიოთეკის გამართულ მუშაობას; აწარმოოს სარეგისტრაციო ჟურნალი;

5.2.4. აწარმოოს სარეგისტრაციო ჟურნალი;

5.2.5. აღწერილი ჰქონდეს ბიბლიოთეკაში არსებული წიგნების ზუსტი რაოდენობა;

5.2.6. დაიცვას ბიბლიოთეკის ქონება, იზრუნოს იმ ბეჭდური და ელექტრონული სახელმძღვანელოების მოვლა-პატრონობაზე, რომლებიც სკოლის ბიბლიოთეკის განკარგულებაშია;

5.2.7. ბიბლიოთეკის საქმიანობა წარმართოს მოქმედი კანონმდებლობისა და წინამდებარე დებულების შესაბამისად;
5.2.8. შეასრულოს შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები.

მუხლი 6. მკითხველის უფლებები და ვალდებულებები

6.1. მკითხველი უფლებამოსილია:

6.1.1. ისარგებლოს ბიბლიოთეკაში დაცული საბიბლიოთეკო დოკუმენტებით ამ დებულებით დადგენილი წესების შესაბამისად;

6.1.2. ისარგებლოს საჭირო ლიტერატურით როგორც სამკითხველო დარბაზში ისე გატანის უფლებით.

6.2. მკითხველი ვალდებულია:

6.2.1. გაეცნოს წინამდებარე დებულებას და დაიცვას იგი;

6.2.2. გაუფრთხილდეს წიგნებს, სხვა ბეჭდურ მასალასა და ბიბლიოთეკის ქონებას;

6.2.3. წიგნების/სხვა ბეჭდური მასალის დაკარგვის ან დაზიანების შემთხვევაში ჩაანაცვლოს იმავე ღირებულებისა და შინაარსის გამოცემით;

6.2.4. წიგნის/სხვა ბეჭდური მასალის მიღების მომენტში დეფექტის აღმოჩენის შემთხვევაში აცნობოს დეფექტის შესახებ ბიბლიოთეკარს;

6.2.5. ბიბლიოთეკის ფონდიდან მიღებული გამოცემები დააბრუნოს ბიბლიოთეკაში ამ დებულებით დადგენილ ვადებში;

6.2.6. აკრძალულია სამკითხველო დარბაზიდან მასალების გატანა ბიბლიოთეკარის ნებართვის გარეშე.

მუხლი 7 . წიგნების/სხვა ბეჭდური მასალის გატანა-დაბრუნება

7.1. ბიბლიოთეკიდან წიგნების/სხვა ბეჭდური მასალის გაცემა ხდება ბიბლიოთეკარის მიერ სპეციალურ სარეგისტრაციო ჟურნალში გატარებით, ვადისა და წიგნის დასახელების მითითებით, ბიბლიოთეკარისა და მკითხველის ხელმოწერით;

7.2. ბიბლიოთეკიდან გატანილი წიგნების/სხვა ბეჭდური მასალის დაბრუნება ხდება სპეციალურ ჟურნალში გატარებით, ბიბლიოთეკარისა და მკითხველის ხელმოწერით;

7.3. ბიბლიოთეკიდან სასკოლო სახელმძღვანელოები გაიცემა სასწავლო წლის დასრულებამდე;

7.4. მხატვრული ლიტერატურა/სხვა ბეჭდური მასალა გაიცემა არაუმეტეს 1 თვისვადით;
7.5. ბიბლიოთეკარს, განსაკუთრებულ შემთხვევებში შეუძლია მოითხოვოს საბიბლიოთეკო დოკუმენტის ვადაზე ადრე დაბრუნება. ამ შემთხვევაში მკითხველი ვალდებულია გამოთხოვილი მასალა დააბრუნოს წერილობითი შეტყობინების მიღებიდან 24 საათის განმავლობაში.

7.6. ბიბლიოთეკიდან არ გაიცემა:

ა)წიგნი, რომლის 1 ეგზემპლარი ინახება ბიბლიოთეკაში;

ბ)პერიოდული გამოცემები (ჟურნალი, გაზეთი)

გ) აუდიო, ვიდეო, ფოტო მასალა; დ)

ენციკლოპედიები;

ე) ლექსიკონები.

მუხლი 8. სამკითხველო დარბაზში ქცევის წესები

8.1. სამკითხველო დარბაზში დაუშვებელია ისეთი ქმედება, რომელიც ხელს შეუშლის მკითხველს მუშაობაში;

8.2. იკრძალება მკითხველის მიერ სამკითხველო დარბაზიდან ბიბლიოთეკაში არსებული დოკუმენტის უნებართვოდ გატანა, რაც ჩაითვლება არამართლზომიერ ქმედებად და გამოიყენება შპს მზეკაბანი 2 რუსთავის საერო სკოლის შინაგანაწესით გათვალისწინებული ზომები.

მუხლი 9. ბიბლიოთეკის მუშაობის განრიგი

9.1. ბიბლიოთეკა მუშაობს ყოველდღე (შაბათ-კვირის გარდა) დილის 9 საათიდან 18 საათამდე.

მუხლი 10. დასკვნითი დებულებები

10.1. ბიბლიოთეკის დებულებაში ცვილებებისა და დამატებების შეტანა შესაძლებელია განხორციელდეს შპს მზეკაბანი 2 რუსთავის საერო სკოლის დირექტორის ბრძანებით;

10.2. ამ დებულებით დადგენილი წესების დარღვევის/შეუსრულებლობის შემთხვევაში

გამოიყენება შპს “მზეკაბანი2-ის” რუსთავის საერო სკოლის შინაგანაწესით დადგენილი ნორმები.